ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №820397

ნომერი: AR1150103

თარიღი : 29.07.2013

გაცემის თარიღი : 13.08.2013

გაცნობის თარიღი : 29.08.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მცხეთის მხრიდან შემოსასვლელი გზის მარჯვენა მხარეს;

დამკვეთი-განმცხადებელი

- Reza Rasti პ/ნ 01197002923
- Agmashenebeli St. No: 86/90

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

# ვბრძანებ

თქვენი 2013 წლის 29 ივლისის AR1150103 განცხადების პასუხად სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, მცხეთის მხრიდან შემოსასვლელი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი #01.72.14.006.265) კომერციული შენობა ნაგებობის განსათავსებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას გაცნობებთ, რომ აღნიშნული ტერიტორია მდებარეობს საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2 (სსზ-2)-ში, რომელიც ითვალისწინებს აღმაშენებლის ხეივნის გაფართოების მიზნით განაშენიანების რეგულირების ხაზს გზიდან დაახლოებით 12.0მ.–ს, რისი გათვალისწინებითაც საპროექტო ტერიტორია რჩება განაშენიანების რეგულირების ხაზის მიღმა (იხ. დანართი); გამომდინარე აქედან აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილი არ არის; შესაძლებელია განხორციელდეს ტერიტორიაზე არსებული შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქცია ფართის უცვლელად, არსებულ გაბარიტებში;

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.